ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 30 ნოემბერი № 1656

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе»**. **ტელეფონი № 372.**

25 ნოემბერს თავის მამულში, ვოლინის გუბერნიაში, გარდაიცვალა **უფროსი შვილი სვანეთის უკანასკნელის მთავრისა**

თავადი მიხეილ კონსტანტინეს ძე დადეშქელიანი.

განსვენებულის გვამს დასაკრძალავად გადმოასვენებენ ქუთაისში. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ოთხ საათზე ქუთაისის საკრებულო ტაძარში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ. 1—1)

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე"-„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე"

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
„	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. — კ.
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50 „
1 „	75 „	1 „	1 „ 10 მ.

ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება: სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели."**

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 7—8 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ტელეფონი № 274. (წლ.)

ცინკოგრაფია

წიგნებ გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქართული თეატრი

შაბათს, 1 დეკემბერს, 1901 წ.

გამართულ იქმნება ქართული

კონცერტი

იმღერებს **ბ. ქორიძის ლოტბარობით**, გურულ ტანისამოსში გამოწყობილი, ოცდაათი კაცისაგან შემდგარი ხორო. ხორო ასრულებს ორ-სართულიან ფერხულს.

ადგილების ფასები დაკლებულია. (3—2)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

პ. გ. მახარაშვილი

იღებს ავადმყოფებს. ბულვარის პირდაპირ, სახლი აკოფოვისა. (5—203—1)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი"-ს №№-ბი. თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

28 ნოემბერი

მოსკოვი. 27 ნოემბერს სოფლის მეურნეები ინგლისში წავიდნენ.

ტიანძინი. სადარაჯოდ დაყენებულმა ინდოელმა ჯარის კაცმა ორი თავისი ამხანაგი მოჰკლა და ამოკში გაიქცა. პენჯაბის ქვეითა პოლკის როტა ამ გიჟი ჯარის კაცის დასაჭერად წავიდა, მაგრამ გერმანელ ჯარის კაცებს მოეკლათ კიდეც ინდოელი და როცა ქვეითა ჯარის როტა დაენახათ მომავალი, თოფის სროლა დაეწყოთ. ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. ბრძოლის დროს სამი გერმანელი მოჰკლეს, ერთი ოფიცერი სასიკვდილოდ დასჭრეს, სამი კიდევ ისე ცუდადაა, რომ ყაზარმიდან გარეთ ველარ გამოდის.

ვენა. დეპუტატთა პალატა. როცა დროებითი ბიუჯეტი მეორედ წაიკითხეს, პირველმა მინისტრმა კიდევ ერთხელ ურჩია პალატას, სასარგებლო მოქმედებას შეუდგით და რიგზე მოიქეცითო. კონსტიტუციის ძალით, მთავრობამ პალატა უნდა დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს, რომ ხალხმა უკეთესი ახალი პალატა აირჩიოს. თუ ვინიცობაა, მოთმინებიდან გამოსული ხალხის თხოვნით, მთავრობა სახელმწიფო ინტერესების დასაცველად იძულებული იქნება კონსტიტუციის მოქმედება შეაჩეროს, ისტორია ვერ დაჰგმობს ამაზე მთავრობას. მთავრობას ისე შეჰხედვენ, როგორც სახელმწიფოს დამხსნელს. მინისტრმა ურჩია პალატას, იქამდე ნუ მიიყვანთ საქმეს, რომ ჩვენი კონსტიტუციის მოქმედება შედგესო, როგორც ეს ერთჯელ მოხდა კიდეც ავსტრიაშიო. მთელი პარლამენტი აღელდა. მინისტრმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „ასეთ დიდ ბრალს ნუ მოახვევთ პარლამენტს თავზე".

ბერლინი. რეიხსტაგი. თავადი ადრზიველი აფუძნებს თავის კითხვას ფრეშენის ამბების შესახებ. იმპერიის კანცლერი აღიარებს, რომ იმან უნდა მოიცილოს სჯაბაასი იმ გარემოებაზე, რომელიც ეჰვემდებარება პრუსიის სეიმს, მხოლოდ ამტკიცებს კი, რომ სახელმწიფოს ღირსება ვრეშენის მართველების მოქმედებისა გამო სრულიადაც არ შერყეულა. „შეიძლება, მეზობელ სახელმწიფოში იმ უწესოებათა ქომაგთ, რომელთაც განცხადების ავტორი მეტად სუბუქადა სჯის, აზრადა ჰქონდათ, ამ გვარის შულლით შემოეტანათ ჩვენს მეზობლებთან დამოკიდებულებაში უსიამოვნება, მაგრამ თუ რომ რამე შიში ყოფილიყო იმის გამო, რომ ჩვენ როგორიც უნდა დამოკიდებულობა გვქონოდა მეზობლებთან, ამ შემთხვევების გამო, ნაკლებად ხელსაყრელია,—მე შემიძლიან ამისთანა შიში სრულიად გავფანტო. (მოწონება მარჯვნივ). როგორც შემდეგ ნოემბრის ამბებისა გალიციის მმართველმა გერმანიის ელჩის წინაშე ლვოვში, ასევე გუშინწინდელი შეუსაბამო საქციელის გამო ავსტრო-უნგრეთის უცხო საქმეთა მინისტრმა განუცხადა ჩვენს ელჩს ვენაში გულწრფელი სინანული. გრაფმა გოლუხოვსკიმ დაარწმუნა, რომ დამნაშავენი მკაცრად იქნებიან დასჯილნი და მმართველები პასუხის გებაში მიცემულნი. შესახებ შემდეგის განკარგულებისა იმან მაშინვე მიჰმართა ავსტრიის მინისტ-პრეზიდენტს. მე ისე არ შემიძლიან გავათავო, რომ არ გამოვსთქვა ჩემი განცვიფრება იმის გამო, რომ კითხვის ავტორმა ერთი წუთით მაინც იფიქრა, რომ ჩვენ ნებას მივცემთ უცხოელების ლაყბობას, რაიმე ზედ გავლენა იქონიოს ჩვენს შინაურს ამბებსა და დამოკიდებულებაზე. (მხურვალე თანაგრძნობა მარჯვნივ). უცხოელების შეხედულობა და მღელვარებათა მიმდინარეობა გავლენას ვერ იქონიებენ ჩვენი შინაგანი პოლიტიკის მსვლელობაზე, და ვერც ხელმძღვანელ მინისტრის მოქმედებაზე. („ვაშა" მარჯვნივ). ჩემთვის არავითარი მოსაზრება არ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი, გარდა სახელმწიფო მოსაზრებისა—ეს არის ჩემი მოვალეობა წინაშე გერმანიისა. ამ ვალს მე თავის დღეში არ დავივიწყებ იმ შიშის წინააღმდეგაც, ნამდვილის შიშისა, რომელიც, როგორც მე დარწმუნებული ვარ, მოელის ჩვენს ხალხოსნობას პოლონელთაგან; მე იმას მოვიმოქმედებ, რაც ჩემს თანამდებობას ევალება, რომ აღმოსავლეთისკენ ნემეცები არ გაისრისნენ". (მოწონება მარჯვნივ, პოლონელები უსტვენენ).

ბერლინი. ბიულოვის შემდეგ ცენტრის დეპუტატი როერენი ლაპარაკობს და ამტკიცებს, რომ პარლამენტს ნება აქვს ვრეშენის საქმე განიხილოსო. როერენი სასტიკად ჰკიცხავს მთავრობას, რომ ვრეშენელი ბავშების წინააღმდეგ ასეთი სასტიკი ღონისძიება რად მიიღეო. კონსერვატორი დეპუტატი ლიმბურგი მთავრობის მოქმედებას იწონებს. პოლონელი ძიემბოვსკი ამართლებს ბავშვებს: ძალიან კარგად მოიქცნენ, რომ უცხო ენაზე სამღვთო წერილის სწავლება უარ-ჰყვეს და მოითხოვეს, რომ ეს საგანი უსათუოდ სამშობლო ენის საშუალებით ესწავლებინა მასწავლებელსაო. რამდენიმე ორატორმაც ილაპარაკა და წინადადება მისცა იმის შესახებ, რომ რეიხსტაგის სხდომა გადადებულიყო. დეპუტატებმა მიიღეს.

სტოკჰოლმი. 27 ნოემბერს საღამოთი ნობელის ჯილდოს დამრიგებელმა კომიტეტმა ამნირად გაანაწილა ეს ჯილდოები: ფიზიკოსებისათვის დაწესებული ჯილდო—პროფესორ რენტგენს მიეცა (გერმანია); ქიმისოსებისათვის დაწესებული—პროფესორ ვან-ჰოფს (ჰოლანდია), მედიკებისათვის დაწესებული—პროფესორ ბერინგს (გერმანია) და ლიტერატორებისათვის დაწესებული ჯილდო—მწერალს სიული-პრიუდომს (საფრანგეთი). სამუსიკო აკადემიის სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში 27 ნოემბერს, საღამოთი, ნობელის სახსოვრად დღესასწაული გადაიხადეს. საღამოს 7 საათზე ტახტის მემკვიდრე პრინცი გუსტავადოლფი და ევგენი მოვიდნენ. მათი უმაღლესობის მარჯვნივ ის პროფესორები დასხდნენ, რომლებმაც ჯილდო მიიღეს. მარცხნივ—ნობელის ჯილდოს დამრიგებელი კომიტეტის, პირველ მინისტრად ნამყოფი ბოსტრემი დაჯდა. ბოსტრემმა მოკლედ ილაპარაკა და ნობელის ცხოვრება, მოქმედება და ღვაწლი დაასურათა.

დღესასწაულის დროს უკრავდა მუსიკა და მღეროდნენ მომღერლები. მეცნიერების აკადემიის თავმჯდომარემ პროფესორმა დო-

ნერმა პროფესორებს რენტგენს და ვანჰოფს მისასალმებელი სიტყვა უთხრა. სამეფო ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა მერნერმა მოკლედ შეაქო პროფესორი ბერინგის ღვაწლი; შვეციის აკადემიის მუდმივმა მდივანმა დოქტორმა ვირსენმა მოიხსენია სიული-პრიუდომი, რომელმაც ლიტერატორის ჯილდო მიიღო (სიული-პრიუდომი ავად-მყოფობის გამო თითონ არ მოვიდა). ვირსენი აქებდა სიული-პრიუდომს, როგორც პოეტსა და ბრძენსა. და ამტკიცებდა, რომ ამ მწერალმა სწორედ ის აზრები გამოთქვა, რასაც ნობელი მწერლობის იდეალად სთვლიდაო. ვისაც ჯილდო მიუსაჯეს, იმათ ტახტის მემკვიდრის საკუთარის ხელით კოხტად გაკეთებული დიპლომები დაურიგდათ. სიული-პრიუდომის მაგივრად მისი ჯილდო საფრანგეთის ელჩმა ჩაიბარა. დღესასწაულის დასასრულს მუსიკა უკრავდა და მომღერლებმა იმღერეს. შემდეგ „გრანდ ოტელ“-ში სადღესასწაულო ნადიმი გამართეს იმათ პატივსაცემლად, ვისაც ჯილდო მიეცათ.

ლონდონი. მეფემ გადასწყვიტა, რომ გვირგვინის კურთხევის დღესასწაული მოხდება 13 თიბათვეს 1902 წ. პარლამენტის მოწოდება დანიშნულია იმავე წლის 3 იანვრისათვის.

ვენა. რეიხსრატი. დედუშიცკი ამბობს მწვავ სიტყვას იმაზე, როგორც ეპყრობიან პოლონელებს პრუსიაში; ამ სიტყვით ცხადად ხსნის იმ სამწუხარო არეულობას, რომელიც ქუჩაში მოხდა. მინისტრი-პრეზიდენტი ამის წინააღმდეგ ამბობს, რომ მართებლობამ ნება არ უნდა მისცეს გაკიცხვისა და გარევისა სხვა სახელმწიფოს მისს შინაურს საქმეებში; აგრეთვე პალატას არ შეფერის სჯა უცხო სახელწიფოს შინაურს საქმეებზე.

ქრისტიანია. ნობელის კომიტეტმა მიიღო ფრედერიკ პასსისაგან ტელეგრამმა შემდეგი შინაარსით; „გმადლობთ. წერილი იქნება. პასსი“. ანრი დიუნანისაგან შემდეგი დეპეშა მიიღეს: «უღრმესს მადლობას შემოგწირავთ მოლოცვისა და ყურადღებისათვის. ანრი დიუნან“.

პარიჟი. პალატა. სალამოს სხდომაზე პალატამ გაათავა საქმე ბიუჯეტის შესახებ და 395 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 122 ხმისა, მიიღო წინადადება, რომელიც იწვევს მართებლობას წარმოსდგეს სენატში.

იალტა. იალტის ახლო, სოფ. აივასილ თათარს უპოვნია წვრილი ძველებური ფულის ხაზინა და ნივთები, საინტერესონი არხეოლოგიის მხრივ.

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრის ბრძანებაში შემდეგია: „ამა წლის 29 თიბათვეს უუმაღლესად გამოცხადებულ მანიფესტში ფინლანდიაში სამხედრო ბეგარის ახალი წესების შემოღების შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ შემოღებულ ყოფილიყო, როდესაც უუმაღლესად დაინახავდნენ საჭიროდ, დადგინება, რომ ფინლიანდიელ ჯარების უფროს-გამგებელთა დანიშვნა სამხედრო მინისტრის განკარგულებით იქმნება“. ხელმწიფე იმპერატორმა, სცნო რა საჭიროდ ამ დადგენილების ახლავე შემოღება, უბრძანა სამხედრო მინისტრს დანიშნოს უფროსები ფინლიანდიელთა ჯარებისა.*)

პეტერბურგი. 28 ნოემბერს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, უავგუსტოესის შვილებით ცარსკოე სელოდან გატჩინოში გადასახლდნენ. 27 ნოემბერს დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ წაბრძანდა საზღვარ გარეთ. 28 ნოემბერს ცარსკოე სელოში წავიდა ტიბეტის ელჩი უფროსი ცენიტი ხომბოა-ახვანდორროეევი.

ტიუმენი. ტობოლსკში მეთევზეების საზოგადოების განყოფილება არსდება.

სარატოვი. მაზრებიდან პური მოაქეთ.

ლონდონი. გენერალ გრიგმა ოფიციალური დეპეშა გამოგზავნა ტიანძინიდან და დიდი სინანული გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ქუჩაზე შეშლილმა ინდოელმა ჯარის კაცმა ასეთი სამწუხარო ამბავი მოახდინაო. ეს ამბავი ბინდისას მოხდაო; რადგანაც ამ დროს დიდ-ძალი ხალხი ირეოდა, ამიტომ ინდოელი შეუნიშნავად მივიდა იმ ადგილამდე, სადაც გერმანელები იდგნენ, ორი ჯარის კაცი მოჰკლა და მესამე დასჭრა. ქუჩაზე შეშლილი და მეორე ჯარის კაცი, რომელიც შეშლილის დაჭერას სცდილობდა, გერმანელ ჯარის კაცებს მოეკლათ. სამი ჯარის კაცი იმ რაზმისა, რომელიც ინდოელ ჯარის კაცს მისდევდა, დასჭრეს. გენერლის დეპეშიდან სჩანს, რომ გერმანელ ჯარის კაცებს ვერ გაეგოთ, თუ რა ამბავიც მომხდარიყო და ამიტომ საყვედურიც არ ეთქმითო. გრიგმა გერმანელ გენერალს შეუთვალა, დიდად ვწუხვარ, რომ ასეთი საცოდაობა დატრიალდაო.

ბერლინი. „ნორდდაუჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ ამტკიცებს, რომ პირველად პოტსდამის გაზეთში დაბეჭდილი და შემდეგ სხვა გაზეთებში გადაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ, ვითომ იმპერატორმა 17 ნოემბერს პოტსდამში პირველი გვარდიის ქვეითა პოლკის ოფიცერთა წრეში თავისი აზრი გამოთქვა დუელის შესახებაო, განგებ არის შეთხზულიო.

მოსკოვი. 28 ნოემბერს ახალი საქველმოქმედო დაწესებულება—განუკურნებელ ავადმყოფთათვის თავშესაფარი აკურთხეს. ამ თავშესაფარში 60 კაცი დაეტევა. ამ დაწესებულების სასარგებლოდ საიმპერატორო კაცთ-მოყვარეულმა საზოგადოებამ 200,000 მანეთი შეიტანა.

პეტერბურგი. 27 ნოემბერი. ბირჟა. ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების $4^{0}/_{0}$ ობლიგაციები $82^{3}/_{4}$ გაყიდ. ა. ი. მანთაშევის და ამხანაგობის ნავთის მრეწველ და სავაჭრო საზოგადოების აქციები—$161^{1}/_{2}$ წვრილი გაყიდ.*)

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ამ დღეს მოგახსენეთ, რომ ირლანდიელი დასის მეთაური ჯონ რედმონდი ამ ჟამად ამერიკაშია და იქ ქალ. ჩიკაგოში ულაპარაკნია-მეთქი. რედმონდის ნალაპარაკევს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია როგორც თითონ მის მსმენელებზე, ისე ინგლისშიაც.

ირლანდიელი რომ ღმერთს გაუჩენია, თან ორატორობისა, ჟურნალისტობისა და სატირიკოსობის ნიჭიც დაუტანებიაო, ამბობს ინგლისური ანდაზა და მართალსაც ამბობს. წილადობაზე ირლანდიელებისთანა ნიჭიერი, მჭევრმეტყველი ორატორი არც ერთ ერს არა ჰყავს. მოიგონეთ თუნდ ახლანდელი მათი დეპუტატები: ჯონ რედმონდი, ვილიამ ობრაიენი, დილონი და სხვები. სატირიკოსობაში და ოხუნჯობაშიაც ირლანდიელებს ცალი არა ჰყავთ. მოიგონეთ იმათი დეპუტატი პალი. ამაზე მოსწრებული მარილიანი და თანაც შხამიანი სიტყვა-პასუხი არავის აქვს მთელ ინგლისის პარლამენტში. ამას გარდა უდიდესი სატირიკოსი მთელს მსოფლიო ლიტერატურის ჯონატონ სვიფტიც წმინდა ირლანდიელი იყო. ნიჭიერი პუბლიცისტი, ჟურნალისტი და კორესპონდენტიც ბევრი გამოდის ირლანდიელებში. ინგლისურ გაზეთებს მომეტებულ ნაწილად ირლანდიელები ჰყავთ კორესპონდენტებად. ამას გარდა სამხედრო ნიჭიც დიდი აქვთ ირლანდიელებს. ინგლისის ჯარში ირლანდიელებს საუკეთესო ადგილი უჭირავთ; მთელი ინგლისის ჯარის მთავარ-სარდალი ლორდ რობერტსი, სამხრეთ აფრიკის ჯარის მთავარ-სარდალი ლორდ კიტჩენერი, განთქმული გენერალი ფრენჩი და სხვ. მრავალი სულ ირლანდიელები არიან. გენერლები ზემოხსენებულ დეპუტატებთან სახსენებლები არ არიან, რადგანაც ირლანდიის ერის ბედი ამათ აინუნშიაც არ მოსდით. ესენი ინგლისელ კაპიტალისტებს ემსახურებიან და არა ირლანდიელ გლეხ-ხალხს. მაგრამ ამათი წინ წასვლაც იმას ამტკიცებს, რომ ირლანდიის ერი ყოველნაირი ნიჭითაა შემკობილი. ბრძოლის ნიჭიც დიდი აქვთ. ბევრი იბრძოლა, ბევრი სისხლი დაღვარა ირლანდიის ერმა, მაგრამ მაინც დღემდე ვერას გახდა მძლავრ ინგლისთან, მაინც დღემდე საკუთარი პარლამენტი ვერ იშოვა და თავისი მშობელი ხალხი ინგლისელი ბატონობისაგან ვერ გაანთავისუფლა. ამისთანა ნიჭიერი ხალხი მუდმივ ბრძოლაშია და მაინც ვერას ხდება და ისეთ ბედს ვერ ეღირსა, როგორისაც ღირსია თავისი ნიჭისა და განათლების დაგვარად. ამიტომაცაა, რომ ირლანდიელი ხალხი მეტად გულ-დამწვარია, და სიზმარშიაც კი სულ ინგლისის მთავრობის მტრობა ელანდებათ. ამავე მიზეზით ირლანდიელის გული სავსეა სევდით და დარდით და მისი ენა და სიტყვა-პასუხი მწარეა ნაღველსავით და სავსეა გესლითა და შხამით როცა ირლანდიელი ინგლისის მთავრობაზე ლაპარაკობს, პირიდან სულ შხამი ამოსდის.

ესეთია სწორედ მათი დასის მეთაური ჯონ რედმონდიც, ანუ როგორც ინგლისელი დეპუტატები ეძახიან, «ტკბილი რედმონდი». როცა ლაპარაკს იწყებს, თურმე ისეთ სახეს მიიღებს, ისეთი ტკბილი ღიმილი მოუვა, რომ კაცს ეგონება, ეხლავე თაფლივით დადნებაო, პირიდან შარბათი წამოუვაო, მაგრამ დაიწყებს თუ არა ლაპარაკს ინგლისის მთავრობაზე და ნამეტნავად «იუდა» ჩემბერლენზე, სულ შხამად გადაიქცევა ხოლმე. ახლაც, ჩიკაგოში, მეტად შხამიანი სიტყვა უთქვამს რედმონდს. ინგლისის უსამართლო ქცევა სამინლად დაუგმია და ახლანდელი მთავრობა სულ მიწასთან გაუსწორებია. რედმონდის გესლიან ლაპარაკს ამერიკის მოქალაქე ირლანდიელების გული მეტად გაუხარებია, სამაგიეროდ ინგლისელი იმპერიალისტების გული კი სულ მოუშხამავს. ლიბერალ-იმპერიალისტს ედუარდ გრეის რედმონდზე და საზოგადოთ ირლანდიის საქმეზედაც ულაპარაკნია. გრეი და ყველა ლიბერალ-იმპერიალისტები აქამდე იმ აზრისანი იყვნენ, რომ ირლანდიას თავისი საკუთარი პარლამენტი უნდა მიეცეთო. მაგრამ ამ ბოლოს დროს თანდა-თან ჰღალატობენ ამ თავიანთ აზრსა და ამ საქმეშიაც ჩემბერლენის გზით სწადიანთ სიარული. ედუარდ გრეის უთქვამს: «ირლანდიელებს ისეთ საკუთარ პარლამენტს ვერ დაუწესებთ, რომ მადლიერები გახდნენო. ამიტომ ლიბერალურ დასს ირლანდიელებისა იმედი აღარ უნდა ჰქონდეს და თავისთვის ცალკე უნდა მოქმედებდესო». ამას გარდა გრეის უთქვა, რომ ირლანდიელების დეპუტატების რიცხვი უსათუოდ უნდა შემცირდესო, ერთის სიტყვით, ის უთქვამს, რასაც ჩემბერლენი და კონსერვატორები ლაპარაკობენ. წაიკითხნათ თუ არა რედმონდის სიტყვა, კონსერვატორებსაც ერთ ადგილას კრება მოუხდინათ და ულაპარაკნიათ, რომ ირლანდიელი დეპუტატების რიცხვი პარლამენტში უსათუოდ უნდა შევამციროთო.

ასე ლაპარაკობენ კონსერვატორები, ლიბერალ-უნიონისტები და ლიბერალ-იმპერიალისტები, მაგრამ დანარჩენ ოპოზიციას კი ირლანდიელების მხარე უჭირავს და თავ-გამოდებით ესარჩლება ყველაფერში. ოპოზიციის აზრით, თითონ ინგლისის სარგებლობა მოითხოვს, რომ ირლანდიას საკუთარი პარლამენტი მიეცესო, მაშინ ირლანდიაც მოისვენებს და ინგლისის პარლამენტიცო. ამას გარდა, ირლანდიელებს სრული პოლიტიკური უფლება აქვთ მინიჭებული სიტყვისა, წერისა და კრების უფლება აქვთ მიცემული, თითონ პარლამენტშიაც 100 დეპუტატი ჰყავთ (ამათგან 20-ოდე მთავრობის მომხრე უნიონისტები არიან, დანარჩენი 80 კი ირლანდიის საკუთარი პარლამენტის მომხრე ნაციონალისტებია). ყველა ამ უფლებით ირლანდიელები რიგზე სარგებლობენ და თავიანთი საქმე კარგად მიჰყავთ. ამიტომაცაა, რომ ირლანდიელებს გული დამწვარი აქვთ, და არა გატეხილი და ბრძოლაზე ხელის აღებას სულაც არა ჰფიქრობენ, თითონ ინგლისის კონსტიტუცია აძლევთ ამ ბრძოლის ნებას და ინგლისის ერის საუკეთესო ნაწილი გულ-მოდგინეთ ესარჩლება და ეხმარება ამ ხალხს. აგი თითონ რედმონდიც სულ იმას ამბობს, რომ ჩვენი ქვეყანა მალე ეღირსება საკუთარ პარლამენტსაო. უნდა იცოდეთ კი, რომ ირლანდიისთანა მძიმე საქმე სხვა არა აქვს ინგლისს. მაგრამ, რედმონდისა არ იყვეს, იმედია, რომ ინგლისი ამ საქმესაც სასახელოთ გადასწყვეტს, ამ სენსაც მოიშორებს და ირლანდიის ნიჭიერი ერიც თავისს გულის წადილს შეასრულებს. ერთის სიტყვით, როგორც უნდა გასინჯოთ, რა საქმეც უნდა აიღოთ, გინდ ბურებისა, გინდ ირლანდიისა და გინდ საშინაო საქმეები, გამოდის, რომ ინგლისთან ომი და ბრძოლა სჯობია ზოგიერთ ქვეყანასთან,—მაგალითად, ოსმალეთთან,—ლხინსა და ქეიფს.

საფრანგეთი. ამ ქვეყნის ამბების თარგმნა როგორღაც კარგად ვერ დავცადე. დავიწყებ თუ არა, მეტყვიან, მაგისათვის გაზეთში ადგილი არ არისო. წერას თავს გაანებებ და მეც ძალაუნებურად თავს განებებ ხოლმე, ხომ იცით ქართული ანდაზა: ჯერ არ ვარგა ნავში ჯდომა, მერე მენავესთან ბრძოლა. ჩვენი მენავე კი მეტად სასტიკი კაცია და თითონ ჩვენი ნავიც—გაზეთი, ღვთის წინაშე, მეტად შევიწროებულია. სინამ ქართულ გაზეთს სიფართე არ მოემატება, მინამდე უცხოეთის სრულ ქრონიკას ქართველი მკითხველი ვერ ეღირსება. მართლაც, ბურების ამბავს ვერ დასწერ სავსებით, ინგლისისას და სხვა. ამირანის არაკისათვის ხომ არა დროს ადგილი არა რჩება. მაგისთანა უბრალო არაკებისათვის სადაა ადგილიო, ამბობს ჩვენი მენავე. ერთის სიტყვით, გაზეთი ისეა შევიწროებული, რომ არ შეგიძლიან შენის ნებით, თავისუფლად ყველა ქვეყნების ამბავი შეატყობინო ქართველ მკითხველს. გახა სულელები არიან ინგლისში, რომ დიდ გაზეთებს სცემენ! აგი ამიტომაც რასაც უნდა და როგორც უნდა ყველა ქვეყნის ამბავს თავისუფლად სწერენ, დიდი, ფართო გაზეთება აქვთ და შიგ ყველაფერი ეტევა. ასე რომ სანამ ქართული გაზეთები ასე შევიწროებული იქმნება, თავისუფლად წერაც შეუძლებელი იქმნება და ქართველი მკითხველი იმისთანა საინტერესო ზღაპრებს და არაკებს, როგორიცაა ამირანისა და მისი ძმებისა, ვერ ეღირსება.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 30 ნოემბერს, წმ. ანდრია მოციქულის დღესასწაულ დღეს, ტფ. სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში უკანასკნელად მწირველი იქნება საქართველოს ეგზარხოსად ნამყოფი ხარკოვის არქიეპისკოპოსი ფლაბიანე. საღამოზე სემინარიის დარბაზში გაიმართება სალიტერატურო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სემინარიის ზოგიერთნი მოწაფენი. შემდეგ არქიეპისკოპოსი ფლაბიანე გამოეთხოვება სემინარიის რექტორს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს. როგორც აღნიშნული გვქონდა, ფლაბიანე ხარკოვში მიემგზავრება კვირას, 2 დეკემბერს.

◆ დეკანოზის ყონჭუაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც დაევალა ქართულ ბიბლიის გადათვალიერებისა და შესწორების საქმე, რის შემდეგაც შეუდგებიან მის გამოცემასაც. კომიტეტის წევრებად, სხვათა შორის, არჩეულნი არიან: გ. ყიფშიძე, მღ. კ. ცინცაძე, მღ. ცხვედაძე, ა. ნატროშვილი და სხვანი.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ნ. ნ. შავროვს, რომელმაც მიწად-მოქმედების სამინისტროს მინდობილობით დაიარა ოსმალეთის პროვინციებში სააბრეშუმო რაიონები და ადგილობრივ შეისწავლა აბრეშუმის თესლის დამზადების საქმე, შეუდგენია მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს აბრეშუმის თესლის ჩვენში შემოტანის საქმე, და მოკლე ხანში წარუდგენს მას სამინისტროს.

◆ კავკასიის გამოფენის უმთავრეს საექსპერტო კომისიის უკანასკნელი სხდომა ექნება შაბათს, 1-ლ დეკემბერს. სხვათა შო-

---

*) ყველა ეს ზემო მოყვანილი დეპეშები დაგვიანებულია ტელეგრაფის უწყებისაგან.

*) ყველა ეს დეპეშები დაგვიანებულია.

ბიბლიოთეკა

რის, კომისია განიხილავს საკითხს, რომ ექსპონენტების გარდა დაჯილდოვებულ იქმნა ის პირნიც, რომელთაც დამსახურება მიუძღვით კავკასიის მრეწველობის განვითარების საქმეში.

◆ ნოქრების ურთიერთ **დამხმარებელი საზოგადოების** ერთმა წევრთაგანმა აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოების წესდება შეიცვალოს. ამ წევრს აზრადა აქვს საზოგადოების მოქმედების გაძლიერება და გაფართოება, ამიტომ წინადადებას იძლევა, ვითხოვოთ, რომ ჩვენი „ნოქართა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება“ გადაკეთდეს პირდაპირ „ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებად“, ისე, როგორც ბაქოში არსებობსო.—რომ ამ საზოგადოების წევრებად მიიღებოდნენ არა მარტო ისინი რომელნიც მსახურებენ სავაჭრო მრეწველობაში და კომერციულ დაწესებულებაში, არამედ ყველა მსურველნიო. ამ წინადადებას შეიტანენ საზოგადოების წევრების პირველ საზოგადო კრებაზედ.

◆ ამას წინად ტფილისის გუბერნატორმა გამოუგზავნა ტფილისის ქალაქის გამგეობას შენიშვნები კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის ბ-ნის ზავადსკისა **ტფილისის სახელოსნო სასწავლებლების ნაკლულევანებათა შესახებ** და წინადადება მისცა გამგეობას, დაუყონებლივ მიიღოს ღონისძიებანი აღნიშნულ სკოლის მოხსენებულ ნაკლულევანებათა შესასწორებლად. გუბერნატორის წინადადება ქალაქის გამგეობამ განიხილა გუშინწინ, 28 ნოემბერს, და დაადგინა გაეგზავნოს ეს მოწერილება ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიის თავმჯდომარეს და დაევალოს მას, რომ, რაც შეიძლება, მალე წარუდგინოს გამგეობას სასწავლებელთა კომისიის მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ.

◆ კავკასიის სამოქალაქო საექიმო უწყებას აღუძრავს საკითხი **სოფლის ქსენონთა ფელშრების** ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გარდა ამისა იგივე უწყება არკვევს ამ ჟამად საკითხს სოფლებში საფელშრო პუნკტების დაარსების შესახებ. ამ დაწესებულებათა საშუალებით განზრახვა აქვთ გააძლიერონ სოფლელთა საექიმო დახმარების საქმე.

◆ **ქართულ სახალხო წარმოდგენების** სექცია ჰმართავს წარმოდგენებს: 1-ლ დეკემბერს ავლაბარში (ტფ. ქვეითა პოლკის სასადილოს დარბაზში), წარმოდგენილი იქნება „პეპო“; 5 დეკემბერს იგივე პიესა იქნება განმეორებული „სახალხო კითხვათა სადგომში (ავჭალის ქუჩაზე); 8 დეკემბერს —იქვე «პარიზელი ლატაკი».

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქართულ დასის არტისტს ბ. **სვიმონიძეს** უსასყიდლოდ უკისრნია ქართულ სახალხო წარმოდგენების რეჟისორობა.

◆ ოთხშაბათს, 28 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის სხდომაზე, ქალაქის მოურავის მოადგილემ აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ საქალაქო დებულების მე-135 მუხლის ძალით, როცა ქალაქი ხმოსნების ამოსარჩევად რამდენიმე ნაწილად განიყოფება, ის პირნი ანუ დაწესებულებანი, რომელთაც **მამული აქვთ** ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში, უნდა მოექცნენ იმ საარჩევნო სიებში, რომელშიაც ჩაწერას თითონ ისურვებენ; ხოლო, რადგანაც დღევანდლამდე არც ერთს დაწესებულებას ან პირს განცხადება არ შემოუტანია, თუ რომელ საარჩევნო სიაში იქნეს შეტანილი, შესტაკოვმა განაცხადა, რითი ვიხელმძღვანელოთ საარჩევნო სიების შედგენის დროს და სად მოვაქციოთ ასეთი პირემი, რომელთაც რამდენიმე ნაწილში მამული აქვთო. გამგეობამ განიხილა ყველა ამ საგნის შესახებ წარდგენილი ცნობები და დაადგინა: ყველა მოხსენებულნი პირნი ანუ დაწესებულებანი შეტანილ იქმნენ ყველა იმ დროებით საარჩევნო სიებში, ხოლო ამ სიების გამოქვეყნების დროს გამოეცხადოს ყველა ასეთ მემამულეებს, რომ განცხადება წარუდგინონ ქალაქის გამგეობას, თუ რომელ საარჩევნო სიაში სურთ იქნენ ჩაწერილნი, რადგანაც საქალაქო დებულების მე-38 მუხლის ძალით სიების საბოლოვოდ შედგენისა და შესწორების შემდეგ მათი შეცვლა არავითარს შემთხვევაში აღარ შეიძლება.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობას განკარგულება მოუხდენია, რომ დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნას სასტიკი ზომები, რომ შემოიტანონ ამ მიმდინარე წლის **დარჩენილი სხვა-და-სხვა გადასახადი**, რომელიც უდრის 458,121 მ. და 50 კ.

◆ ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ იქ არსდება **მზარეულების და ხელზედ-მოსამსახურეთა ამხანაგობა**. ამხანაგობას ექნება ბიურო, რომ ადგილი უშოვონ ხოლმე ამხანაგობის წევრებს, რომელნიც ცუდით და უსაქმოდ იქნებიან.

◆ 1-ლ იანვრიდან გაძლიერებულ იქნება კავკასიის სამოსწავლო ოლქის **მზრუნველის კანცელარია**; სახელდობრ, დაარსებულ იქნება საქმის მწარმოებელთა სამი თანამდებობა და სამოსწავლო ოლქის არხიტექტორის ერთი თანამდებობა.

◆ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ამიერ-კავკავკასიის რკინის გზების უფროსი **ინჟ. გუდენევი** დეკემბრის პირველ რიცხვებში აპირებს ტფილისში წამოსვლასო.

◆ ამ ხანად **საქონლის ჭირთან საბრძოლველად** ამიერ კავკასიაში გადადებულია 400,000 მან., აგრეთვე საბჟითალო-დამცველი სადგურების შესანახად ჩრდილოეთ კავკასიის და ამიერ კავკასიის საზღვარზედ—130,000 მ. ეხლა ფიქრობენ ამ ფულს მოუმატონ, რადგანაც ახალი საბჟითალო შტატები ემატება და ამასთანავე წესდება ორ-პროცენტიანი გადასახადი საქონლის **ნახირებზე**.

ამიერ კავკასიაში 1898—1900 წლების განმავლობაში **ჭირით დაიხოცა** 9,354 სული საქონელი, ხოლო ძალად დახოცეს ესევე ჭირიანი საქონელი 41,994. ჩრდილოეთ კავკასია სრულიად განთავისუფლდა საქონლის ჭირისაგან 1898 წელს, მას შემდეგ, რაც იქ თერთმეტი წლის განმავლობაში დახოცეს 134,495 სული საქონელი, 2,689,900 მ. ღირებული.

◆ ტფილისის ცხენის რკინის გზის გამგეობას წელს ქალაქის **ქუჩების მოკირწყვლა-შეკეთებაში** მონაწილეობის მისაღებად გამგეობაში უნდა შეეტანა 2654 მ. 68კ. უსახელო საზოგადოების დირექტორმა ამ ფულებიდან გუშინ-წინ, 28 ნოემბერს წარადგინა ქალაქის კასაში 324 მან. 67 კაპ. დირექტორს ამ ფულებიანად დღემდე შეუტანია ქალაქის გამგეობაში სულ 2572 მ. 67 კაპ. ასე რომ შესატანი აქვს კიდევ 82 მან.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წერილობით შეატყობინა გუშინ ადმინისტრაციას, რომ პოლიციის მე-10 ნაწილის ანდრეევისა, დამოენისა და სხვა ქუჩების უსუფთაობა მართალიაო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ქალაქის ქუჩების დაწმენდა-გასუფთავება **თვით მცხოვრებლებს აქვთ დაკისრებული** და საჭიროა პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა ზომები იხმაროს, რომ ყველა ქუჩები ტალახისა და ნაგვისაგან დროზე იწმინდებოდეს მცხოვრებლებისაგანო.

◆ ამ დღეებში ამიერ კავკასიის რკინის გზის მე-294 ვერსზე, ყაზახის მაზრის მცხოვრები ზაქარა აბოვიანცი, რომელსაც უნდოდა შემხტარიყო საქონლის მატარებლის №-223 ერთ-ერთ ვაგონის დასაჯდომზე, ვაგონებ ქვეშ მოჰყვა, თვლებმა ზედ გადაუარეს და ორივე ფეხი მოსწყვიტეს მუხლებ ზევით. გზის ოსტატმა ხელის პატარა ვაგონით ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში მოიყვანა საბრალო ბიჭი, სადაც იგი 27 ნოემბერს გარდაიცვალა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამისთანა უბედური შემთხვევები ტფილისს ახლო არა ერთხელ მომხდარა, მეტადრე ტფილისსა და ნავთლუღს შუა, რადგანაც მიმავალ მატარებლებს ბავშვები ბუზივით დაეხვევიან ხოლმე და ვაგონის საფეხურებზე შეხტებიან და გადმოხტებიან, რის გამოც მათი სიცოცხლე ყოველთვის ბეწვზედა ჰკიდია. მატარებლის მოსამსახურენი—კონდუქტორები სულ ვერაფერს ვერ აწყობენ ამ ცელქ ბავშვებთან. გვგონია, პოლიციას არ ეძრახვის, რომ ყურადღება მიაქციოს ამ სახიფათო მოვლენას.

◆ განჯიდან იტყობინებიან, რომ 28 ნოემბერს, ამიერ კავკასიის რკინის გზის მე-449 ვერსზე მუშა მამედ აქპერ-ალი-ოღლი მოჰყვა ხელის პატარა ვაგონ ქვეშ, რომელმაც გაუტეხა ფეხის ქუსლი. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის მე-195 ვერსის გზის ასაქცევიდან იტყობინებიან, რომ 28 ნოემბერს მუშა ათანასე სლოვცოვს, რომელიც მე-198 ვერსის ხიდზე მუშაობდა, დიდი ბოძკა გადმოუვარდა და ფეხზე დაეცა, რამაც დაუშავა ფეხი.

◆ 27 ნოემბერს, ნაშუადღევს, ბატარეის ქუჩაზე, სერებრიაკოვის სახლის შესავალთან პოლიციელს უნახავს 10 დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი მდედრობითი სქესისა; იქვე უნახავთ ბარათი, რომელშიაც წერებულა, რომ ბავშვი ჯერ მოუნათლავიაო; უპატრონოდ მიგდებული ბავშვი ოლგას საბებებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზვნილი.

◆ ნაძალადევში უთნელოვის სახლში მცხოვრები 78 წლის მოხუცი უნტერ ოფიცერი ფრანც მარტინის ძე პუტოვსკი 26 ნოემბერს თავის ბინაზე უეცრად გარდაცვლილა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში იქმნა გაგზავნილი.

რუსეთის ქრონიკა

∝ „პეტერბ. ვედომ“. იტყობინება, რომ სამიწად-მოქმედო სამინისტროს გარდაუწყვეტია,—სანამ სახელმწიფო საბჭო განიხილავდეს პროექტს ქალთა სამეურნეო სწავლების შესახებ, მანამდის ნება მისცეს ქალთ ვაჟთა სამეურნეო სასწავლებლებში შევიდნენ.

∝ რუსეთში არსებობენ მხოლოდ დაბალი სასწავლებლები რკინის გზის საქმის შესასწავლად. ახლა გზათა სამინისტროში აღძრულა საკითხი იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნან ამ საქმის შესასწავლად საშუალო ტიპის სკოლები („ნოვ“.).

∝ საერო განათლების სამინისტროს გარდაუწყვეტია პეტერბურგის უნივერსიტეტში დროებითი წესები შემოიღოს სტუდენტების ორგანიზაციისა. ამ საქმის მოსაწყობად არჩეულია საგანგებო კომისია პროფესორებისაგან.

∝ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო დამხმარებელ საზოგადოებას გარდაუწყვეტია დააარსოს მუდმივი და მოძრავი გამოფენა შინად მრეწველობის ნაწარმოებთა.

პრესსა

ამ დღეებში გამოცხადდა სასკოლო შემნახველ კასსების წესები. მომავალ წლიდან საშუალო და დაბალ სკოლებში არსდება მოწაფეთათვის ამგვარი კასსები. ამით განზრახვა აქვთ შეაჩვიონ ბავშვები მომჭირნეობას, გაუღვიძონ და გაუძლიერონ მათ შენახვის სურვილი. კასსების ორგანიზაცია მარტივია. ერთის რაიონის სკოლის კასსები ექვემდებარებიან სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებას. ყოველს მოწაფეს შეუძლია შეიტანოს კასსაში შესანახად 1, 5 და 10 კ. საფოსტო მარკებით; როდესაც ერთი მანეთი მოუგროვდება, სასკოლო კასსას ეს ფული შეაქვს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, საიდანაც ბავშვს ეძლევა შესაფერისი წიგნაკი; ამ წიგნაკითვე ბავშვს შეუძლია საჭიროების დროს გამოიტანოს შენახული ფული, რომელსაც კანონისამებრ სარგებელი ემატება...რუსეთის პრესსის უმრავლესობა ექვის თვალით უყურებს ამ ახალს საქმეს. გაზეთები ამბობენ, რომ ბავშვებში მომჭირნეობის გაძლიერება კარგი საქმეა, მაგრამ არა იმ საშუალებით, რომელიც სამინისტროს აურჩევიაო. სხვათა შორის, „ვესტნიკ ვოსპიტანია“ სწერს:

> „უმჯობესი იქნება ბავშვები შევაჩვიოთ არა ფულის შენახვას, არამედ წიგნებისა, სამოსწავლო საგნებისა და სხვა რამ ნივთებისას. ამასთანავე უმჯობესი იქნება გადავაჩვიოთ ბავშები ფულის დახარჯვა—გაფლანგვას, შევუმციროთ მათ სხვა და სხვა სიამოვნების სურვილი და სხვა ამგვარი. მოწაფეებში უნდა ვაღვიძებდეთ კეთილის საქმის აღსრულების სურვილს, მაგალითად, ღარიბ ამხანაგების დახმარებისას, და არა ფულების შეგროვების ლტოლვილება საკუთარ სიამოვნებისათვის“.

დასასრულ ჟურნალი სრულიად სამართლიანად სჯის, რომ

> „შემნახველი კასსები სკოლაში არა სასურველ ნაყოფს მოიტანენ: ისინი გააძლიერებენ ბავშვებში ეგოიზმსა, ძუნწობას და უგულობას, რომელსაც ისედაც დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს საზოგადოებაში. ყოველს შემთხვევაში, ჩვენის ფიქრით სასკოლო კასსების დაარსება სავალდებულო არ უნდა ყოფილიყო“.

⁂

ხელოსნისა და შინაურ მრეწველის გაჭირვებულ მდგომარეობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. მათი საქმე თან და თან ქვეითდება და მათი არსებობა ძნელდება; უფრაც ძლიერდება რუსეთში მრეწველობა, მით უფრო მცირდება შინა მრეწველისა და ხელოსნის ასპარეზი, მით უფრო უძნელდებათ მათ მუშაობის პირობები. მათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რუსეთში ცოტაა გაკეთებულ-დაარსებული; მხოლოდ უკანასკნელ წლებში ერობათ გამოიღეს ხელი და დახმარებას უწევენ ამ დაქვეითებულ მრეწველობას ერობათაგან უფრო მეტი გულმტკივნეულობა გამოიჩინა პერმის საგუბერნიო ერობამ, რომელმაც დააარსა შინა-მრეწველთა დამხმარებელი ბანკი. ახლა ნიჟეგოროდის ერობაც შესდგომია ამ საქმისთვის ზრუნვას; მას განზრახვა აქვს მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რომ დაარსებულ იქმნას შინა მრეწველობის სახელმწიფო ბანკი. რუსული გაზეთები სიამოვნებით ეგებებიან ამ განზრახვას და დიდ სარგებლობას გამოელიან ამგვარ სახელმწიფო ბანკისაგან. სხვათა შორის, გაზ. „პერმ. გუბერ. ვედ“. სწერს:

> „თავი და თავი გაჭირვება შინაურის მრეწველისა—უფულობაა. მრეწველი კაპიტალისტ-ჩარჩის მონად ხდება იმიტომ, რომ დროზე და შეღავათიანის პირობით კრედიტს ვერ შოულობს. სახელმწიფო ცენტრალურ ბანკს-კი შეეძლება ამ მხრით დიდი შემწეობა აღმოუჩინოს შინა-მრეწველსა და ხელოსანს; გადაარჩინოს იგი ჩარჩის კლანჭებს და გაუადვილოს მუშაობის პირობები“.

პროვინცია

ს. **ნაფალაური**. სოფელი ნაფალაური ჰქუთვნის აბაშის საბოქაულოს. ამ სოფლის მკვიდრი მეტ წილად სამტრედიაში მუშაობს და იქ ატარებს თავის დღეს, თავის სოფლის საქმე კი მივიწყებული აქვს. მას არ აინტერესებს არც სკოლა, არც გზა. და ამტომაც არის, რომ ჩვენის სოფლის გზები და ხიდები მეტად ცუდ მდგომარეობაშია. მართალია, ამ ზაფხულში შეკეთდა ორშორის ორი ხიდი, მაგრამ ისეთის მასალით (თხმელის თხელი ფიცრებით), რომ მომავალ ზაფხულამდე ვერ გასტანს. სამტრედიიდან ნაფალაურში წამსვლელს თავი დაზღვეული უნდა ჰქონდეს, რომ ლაფში არ დაიხრჩვეს.

აქ არსებობს ერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, მაგრამ იგი სოფლისათვის სრულებით გამოუსადეგარია, რადგან მოწაფეებს მასწავლებლის არა ესმის-რა... რაც შეეხება სამრევლო სკოლას, მისი დაარსება აზრადაც არ მოსდით ჩვენ მღვდლებს. სამრევლო სკოლა რომ გვქონდეს, ხელის მოწერას მაინც ისწავლიდნენ ბავშვები ქართულად.

ყორანი.

ს. **ბალაური** (კახეთი). სოფ. ბალაური კახეთის ყველა სოფლებზე მაღლა სდგას როგორც ქონებრივ, ისე ნივთიერად. მართალია, ამათ აქვთ დიდი მამულები, და იძულებული ხდებიან სხვისი შეამუშავონ, მაგრამ თელავის სიახლოვის წყალობით (ვერს ნახევრის სიშორეზე მდებარეობს) ცოტა მამულებიდანაც ბევრით მეტს სარგებლობენ, ვიდრე სხვა სოფელნი ბევრი მამულებიდან. აქაური დედა-კაცები დიდ უნარსა და მხნეობას იჩენენ ცხოვრებაში: ისინი როგორც მამა-კაცები, მუშაობენ, შრომობენ და ხალისდებიან მით, რომ ყოველ მათ ნაწარმოებს კარგი ფასი აქვს თელავში. ამ სოფელში ხშირად შეხვდება კაცი პატარ-პატარა ბაღჩებს, ყოველ ნაირ ხილით სავსეს, დიდრონი ზვრები კი იშვიათია. ამის მაგიერ სოფლის ბოლოზე

ეროვნული

გადაჭიმულია სახნავი მიწები, რის გამოც ხვნა-თესვას მუყაითად მისდევენ. საქონლის მოშენებაც უყვარს აქაურ გლეხკაცს, რადგან უამისოდ არ ვარგა და არც შეუძლიან მარტოკა ოჯახის გამოკვება.

არც თავისუფალ დროს, მინდვრის მუშაობიდან, არიან მცხოვრებნი უსაქმოდ. ისინი ეზიდებიან შეშას მთიდან, აგროვებენ სოფელში და მერე ზამთრობით გადმოაქვთ თელავში თავიანთი ოსტატური პატარ-პატარა ურმებით და კარგ ფასად ასაღებენ.

ამ ჟამად ამ სოფელში მძვინვარებს კახეთის დიდი ხნის მოძულებული ხოლო ბალაურისთვის ჯერედ ახალი სტუმარი—საქონლის ჭირი. ეს სენი როგორ ავნებს მათ კეთილ-დღეობას და როგორ შეაფერხებს მეურნეობას, ეს ყველასათვის ცხადია. ჭირის გაჩენის უმალვე, შეიკრა გზებიც (საქონელს სხვაგან არ უშვებენ, რათა სხვა სოფლის საქონელსაც არ შეეყაროს და უფრო არ გავრცელდეს) და მის გარდა, რომ ჭირიანი საქონლისაგან ცარიელი რჩება ბედკრული გლეხი, დანარჩენ საქონლიდანაც ვეღარა სარგებლობს.

დიმიტრაშვილი.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

29 ნოემბერი

ბერლინი. «ვესტ. ფინ.»-ში დაბეჭდილმა წერილმა, რომლითაც სტატს-სეკრეტარი ვიტტე არჩევს გერმანიის სადამოჟნო პოლიტიკას, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინში. სავაჭრო ხელ-შეკრულობათა მრავალი მომხრენი ამბობენ, რომ ვიტტეს წერილმა მტკიცედ აღნიშნა რუსეთის მთავრობის აზრი გერმანიის სავაჭრო პოლიტიკაში ნაციონალური ეგოიზმის დამკვიდრების შესახებ; ეს წერილი სწორედ დროზე დაიბეჭდა, რადგანაც გერმანიის მინისტრები არწმუნებენ პალატას, რომ ახალი სადომოჟნო პროექტი გერმანიას ხელს არ შეუშლის მეზობელ სახელმწიფოებთან ხელშეკრულობის დადების დროს; რუსეთის ფინანსთა მინისტრის წერილი კი თვალს უხელს გერმანელ საზოგადოებას და უჩვენებს მას, რამდენად უსაფუძვლოა გერმანიის იმედი. ბერლინის გაზეთებში ამის შესახებ მრავალი წერილები იბეჭდება. «ნ. ც. ცაიტ.» სწერს, რომ ვიტტეს აზრი სავაჭრო-საპოლიტიკო განყოფილებაზე რუსეთსა და გერმანიის შუა სრულიად ეთანხმება აგრარიების მოწინააღმდეგეთა აზრს შეიძლება საქმე სადამოჟნო საბრძოლველად არ გახდეს, მაგრამ მომავალი სავაჭრო ხელშეკრულება იმდენად ღარიბი და უშინაარსო იქნება, რამდენად მეტს დაუთმობენ აგრარიებს; რამდენად უფრო დააკმაყოფილებენ აგრარიების თხოვნას, იმდენად შეუმცირდება გერმანიის მრეწველობას რუსეთისაგან 1893 წელს მინიჭებული შეღავათი. «ფოსიშე ცაიტ.» ამბობს, რომ რუსეთის ფინანსთა მინისტრს სრულიადაც არა აქვს სურვილი, უმანკო კრავსავით ელოდებოდეს გერმანიის სავაჭრო პოლიტიკის აღსრულებას, როგორც ამას ელის ავსტრიის მინისტრი გერბერი. გაზეთს ვერ გაუგია, საიდანა აქვთ გერმანიის მინისტრებს იმის იმედი, რომ რუსეთი არ მოუმატებს ბაჟს გერმანიის საქონელს, როდესაც გერმანია დაადებს ბაჟს რუსეთის ხორბალს. «ბერლ. ტაგებ.»-ი შენიშნავს, რომ რუსეთის მინისტრი სრულიად სამართლიანად სჯის: გერმანიისა და რუსეთის სავაჭრო ინტერესები შეთანხმებულნი უნდა იქმნენ. «ფრანკფ. ცაიტუნგ»-ი შიშობს, რომ თუ რუსეთმა და შემდეგ ავსტრიამაც და იტალიამაც გერმანიას მიბაძეს, სადამოჟნო ტარიფები საერთოდ აიწევა და ვაჭრობა შეფერხდება. აგრარიების გაზეთი «დოიჩე-ტაგეს-ცაიტუნგი» კმაყოფილია იმით, რომ ვიტტეს წერილი სამშვიდობოთა და სადამოჟნო ბრძოლას არ გვიქადის; მაგრამ გაზეთი თავ-გამოდებით ამტკიცებს, რომ გერმანიის მდგომარეობა უფრო ძლიერია, ვიდრე რუსეთისა. კონსერვატორების გაზეთი «კრეიც ცაიტუნგი» სიამოვნებით ამბობს, რომ ვიტტე ძალიან ჭკვიანურად და ენერგიულად იცავს თავისს ქვეყნის ინტერესებს. სოციალ-დემოკრატების გაზეთი «ფორვერტს» ამბობს, რომ გერმანელების ნაციონალურ ეგოიზმს საზღვარს უდებს რუსეთის ნაციონალური ეგოიზმი; გაზეთი კმაყოფილია იმით, რომ ყოველთვის, როდესაც გერმანელი მინისტრები აცხადებენ, ვითომ რუსეთსა და გერმანიას შორის შეთანხმება მოხდა ხორბალზედ ბაჟის დადების შესახებ, მინისტრი ვიტტე არ იყოვნებს უარ ჰყოს გერმანელი მინისტრების განცხადება.

ბერლინი. რეიხსტაგი. აგრარიების მეთაური გრაფი კანიცი აცხადებს, რომ გერმანიას შიში მოელის ამერიკის კონკურენციისაგან. სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ კი კანიცი აცხადებს, რომ იგი რუსეთის სასარგებლოდ არის მიმართული. სოციალ-დემოკრატი ზინგერი წინააღმდეგობას აცხადებს ხორბალზედ ბაჟის მომატების გამო.

ვენა. ჩეხთა კლუბმა მოიწონა ერთის თავისს წევრის ცდა, მოახდინოს კონფერენცია გერმანელთა და ჩეხთა შეთანხმებისათვის.

ჩერნიგოვი. მდიდარმა სახლის პატრონმა ივანე დუნინბარკოვსკიმ შესწირა 50,000 მან. ჩერნიგოვში რეალურ სასწავლებლის დასაარსებლად.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა გაუგზავნა ზინოვიევს ოქროს საჩუქარი ბრილიანტებით მოჭედილი შემდეგის ზედწარწერით: «ეს საჩუქარი უთავაზა მისმა უდიდებულესობამ ზინოვიევს სახსოვრად მისის 50 წლის მოღვაწეობისა სადიპლომატო ასპარეზზე და აღსანიშნავად იმ მეცადინეობისა, რომელიც გასწია ზინოვიევმა რუსეთისა და ოსმალეთს შუა მეგობრობის დამყარებისათვის».

ბუქარესტი. პლევნის აღებიდან 24 წლის შესრულების გამო გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ მეფე, მემკვიდრე, მინისტრ-პრეზიდენტი, გენერლობა ავსტრიისა, გერმანიისა, საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო წარმომადგენელნი. საღამოს სასახლეში გაიმართა სადღესასწაულო სადილი. ქალაქი მორთულია დროშებით.

პეტერბურგი. «პრავ. ვესტ.»-ში დაბეჭდილია: «23 სექტემბერს ტფილისის საქალაქო კასიდან მოიპარეს ჯერეთ გაუსაღებელი ობლიგაციები ქალაქ ტფილის მესამე სესხისა—სულ 592,000 მ. ტფილისის ქალაქის თავის მოადგილის თხოვნით საკრედიტო კანცელარია საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მესამე სესხის ობლიგაციები უკვე შეცვლილია ახალის ობლიგაციებით: ამიტომ ვისაც ძველი ობლიგაციები აქვს, უნდა წარადგინოს ტფილისის ქალაქის გამგეობაში, სადაც მას მისცემენ დროებითი კვიტანციებს ახალ ობლიგაციების დამზადებამდე. ქალაქ ტფილისის მესამე სესხის ახალ ობლიგაციების გამოცემას დრო ცალკე იქნება გამოცხადებული».

შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს: «რადგანაც ოდესაში 27 ოქტომბრიდან შავი ჭირით ავად აღარავინ გამხდარა, კომისიამ დაადგინა: თერთმეტ ნოემბრიდან მოისპოს ოდესისათვის საგანგებოდ მიღებული საშუალებანი; შავი ზღვის სხვა ნავთსადგურებში მიღებული ზომები ისევ ძალაში დარჩეს. 8 ნოემბრიდან, როდესაც ბათუმში ერთი კაცი გახდა ავად შავი ჭირით, შავი-ზღვის ნაპირებზედ მეტი აღარავინ გამხდარა ავად».

26 ნოემბერს წმ. მთავარ-მოწამე გიორგის ორდენის დღესასწაულის დღეს უმოწყალესად ებოძათ გიორგის ორდენის ათს კავალერს შემდეგი ჩინები: ოთხს გენერალ-მაიორობა და ექვსს—პოლკოვნიკობა.

რედაქტორი
ალ. ჭყონია.
გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს რომ ამა წლის 1 დეკემბერს, დღის 12 საათზე, გამგეობის დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**. ვაჭრობით მიიცემა გაკეთება ბეტონის მილისა, სიგრძით 68,00 საჟენი, სიმაღლით 18 ვერშოკი, სიგანით 12 ვერშოკი, ტატიანის ქუჩაზე, თუმანოვის სახლამდე, 1500 მანეთისა.

მსურველთ შეუძლიათ გაიცნონ პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6—2)

Всеобщая Маленькая Газета
„С.-ПЕТЕРБУРГЪ"

Собственная типографія.—Изданія годъ девятый. СПБ., Невскій, 139.

Всѣ отдѣлы большихъ газетъ и всѣ новости всего міра: придворн. извѣстія, правительств. и обществ. дѣло, политика, Дальн. Востокъ, война буровъ, среди газетъ, всѣ выдающіяся происшествія, романы, науки, исторія, докторскія замѣтки и пр. и пр. **Портреты и картины.**

ВЫХОДИТЪ ТРИ РАЗА ВЪ НЕДѢЛЮ.
Цѣна съ доставкой и пересылкой:
2 р. за годъ, **за полгода 1** р., за 3 мѣс. **50** к.
(3. 3—3) Редакторъ-Издатель А. Н. Молчановъ.

ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ.
„ПЧЕЛОВОДНЫЙ МУЗЕЙ"
иллюстрированный журналъ по пчеловодству,

Выходитъ въ Ставрополѣ-Кавказскомъ подъ редакціею **Г. В. Парадіева** не менѣе 8 разъ въ годъ книжками въ объемѣ до $2^1/_2$ печатн. листовъ съ иллюстраціями и приложеніями.

ПРОГРАММА ЖУРНАЛА:

Къ естественной исторіи пчелы. Медоносныя растенія. Враги и болѣзни пчелъ. Ульи, павильоны, омшанники Пасѣчная утварь. Медъ и воскъ. Біографическіе очерки. Образцовыя пасѣчныя хозяйства. Фельетонъ. Словарь пчеловодства. Библіографія. Разныя извѣстія. Объявленія.

Подписка принимается во всякое время.

Подписная цѣна: въ годъ ДВА руб. съ доставкою и пересылкою.

Подписку адресовать: „Ставрополь-Кавказскій, Георгію Васильевичу Парадіеву".

Для ознакомленія высылается базплатно одинъ изъ вышедшихъ нумѣровъ жупала по первому требованію.

Редакторъ-издатель Г. В. Парадіевъ.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საპერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

Открыта подписка на 1902 годъ
НА ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ
ФОТОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ.
Ред.-изд. **А. ф. РЕЙНЕ.** Москва.
Органъ Русскаго Фотографическаго Общества въ Москвѣ.
Ноябрь 1901. Изданія годъ VII-й. **Ноябрь 1902.**

Статьи по всѣмъ отраслямъ фотографіи и ея примѣненій, оригинальныя и переводныя.
Рефераты, читаемые въ собраніяхъ Русскаго Фотографическаго Общества въ Москвѣ.
Иллюстраціи и рисунки въ текстѣ.
Сообщенія о дѣятельности русскихъ и иностранныхъ фотографическихъ обществъ.
Отдѣльныя художественныя приложенія и интернаціональные образцовые портретные снимки, печатаемые съ негативовъ на бромосеребряной бумагѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ—**5** руб., на полгода—**3** руб. съ пересылкой. Отдѣльные нумера—**1** руб.

Подписка принимается въ конторѣ редакціи: Москва, Кузнецкій мостъ, № 3, и во всѣхъ книжныхъ торговляхъ и складахъ фотографическихъ принадлежностей по всѣй Россіи.

РЕДАКЦІЯ: Москва, Большая Тверская, соб. д.. № 25.

Оставшіеся отъ прошлыхъ годовъ полные экземпляры журнала „Фотографическое Обозрѣніе" можно получать въ редакціи по слѣдующимъ цѣнамъ: Изданія годъ I—3 руб; II и III по 4 руб.; IV, V и VI по 5 руб. съ пересылкою. (3. 3—2)

Съ разрѣшенія главнаго управленія по дѣламъ печати,
ПОНИЖЕНА ПОДПИСНАЯ ПЛАТА
На ежедневную политическую и литературную газету
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

Какъ для городскихъ, такъ и для иногородныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ—7 р., за полгода—4 р., 2 мѣс.—2 р. 50 к., 2 мѣс.—2 р., 1 мѣс.—1 р.; отдѣльный № въ Тифлисѣ—3 коп., внѣ Тифлиса—5 коп.

Допускается разсрочка платежа: къ 1 му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: год. плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнія.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Редакторъ Г. Тумановъ. 3—1 Издатель К. Тумановъ.

Открыта подписка на 1902 годъ, VII годъ изданія,
НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ
„КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО"
органъ Императорскаго Кавкавскао общества сельскаго хозяйства. Газета выходитъ по четвергамъ безъ предварительной цензуры,
ПО **СЛѢДУЮЩЕЙ** ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа, 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству. винорадарству и виноделію шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельскохоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8 Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельскохозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты" газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельскаго хозяйства.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—4 р., полгода—2 р., $^1/_4$ года—1 р. и 1 мѣсяцъ—40 к
Подписка принимается въ Тифлисѣ. въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинск. ул., соб. домъ
(3. 3—2) Отвѣтственный редакторъ **А. А. Калантаръ.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Ноября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.